# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სა ლიტერატურო გაზეთი 1877—1892



## სახლების აშენების ამხანაგობის მმართველობა

უმორჩილესადა სთხოვს იმ ამხანაგთ, რომელთაც ხვედრი ფული არ შემოუტანიათ წილის ფულის შესავსებლად, აიჩქარონ ამ ფულის შემოტანა საზოგადო კრებამდე, რომელიც დანიშნულია ნოემბრის 8. ამასთანავე ამხანაგობის მმართველობა აცხადებს, რომ ვინც ამ ფულს კრებამდე არ შემოიტანსს გამოირიცხება ამხანაგობიდგან. (5—1)

## ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 28 ოქტომბერს,

ქართულ დრამატ. საზოგად. არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

პირველად ახალი პიესა

**გამოურკვეველი ოცნებანი**

სცენები სოფლის ცხოვრებიდგან 3 მოქმედ.

ი. მ—ისა

II

არც იქით, არც აქეთ!

ვოდევილი 1 მოქ. გადმოკეთ. ვ. გუნიას მიერ

III

სიმღერა, კითხვა და ლეკური

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი: ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, ტარიელოვისა; მძინარიშვილისა, სარიძისა. ბ-ნნი: აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, მჭედლიძე, კანდელაკი, შათირიშვილი, თამაზიშვილი და სხ.

ადგილების ფასი დაკლებულია

შეგირდებისათვის კუპონები ლოჟაში 60 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ

მზადდება წარმოსადგენად „ბორკილი“, „ლანდი“, «ყაჩაღები» და სხ.

---

კვირას, 8 ნოემბერს, დილის 11 საათზედ, ტფ. სათ.-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია მორიგი საზოგადო კრება სახლების აშენების ამხანაგობისა. განსახილველია შემდეგი საგნები:

1) ახალ წევრთა მიღება.

2) მოხსენება მმართველობისა სააქციონერო საზოგადოების დაარსების შესახებ.

3) მოხსენება მმართველობისა ამხანაგობის წევრის პოდპოლკოვნიკის ხ. პ. არდაზიანის თხოვნის შესახებ. (3—1)

---

## ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ Ს. ᲕᲐᲬᲐᲫᲔ

იღებს ავადმყოფებს ნაშუადღევის 3 საათიდგან 6 საათამდე (ელისაბედის ქუჩა, კოპიევის სახლი, № 116). (30—5)


---

ტფილისი, 27 ოქტომბერი

ერთი გარემოება შეუმჩნევლად არ უნდა დარჩენილიყო ჩვენის ცხოვრების მეთვალყურესათვის, მით უმეტეს, რომ ამ გარემოების შესახებ არა ერთხელ ყოფილა სიტყვა გაკრული გაზეთშიაც. ეს გარემოება ის არის, რომ სოფლის სასწავლებელში ნასწავლს ბავშვს ჩქარა ავიწყდება ყოველივე იქ მიღებული ცოდნა და რამდენისამე წლის შემდეგ სრულიად გამოჰქარდება ხოლმე გონებიდგან. ეხლაც-კი, თუმცა ჩვენს სასოფლო სასწავლებლებს დიდი წარსული არა აქვს, სოფლად ხშირად ისეთს ჭაბუკს შეხვდებით, რომელსაც წერა-კითხვა უსწავლია სასწავლებელში, სცოდნია კიდეც, მაგრამ ეს ცოდნა ცხოვრებაში ვერ გამოუყენებია, ურმის კოფოზედ დავიწყებია და ასოებსაც-კი ვეღარა სცნობს. ამ გვარად, სასწავლებლის დანიშნულებას, მასწავლებლის შრომასა და ჯაფას სულ ამაოდ, უარარაოდ, ფუქსავატად ჩაუვლია და მოსწავლეს გონებაში არავითარი კვალი, არავითარი დვრიტა არ დაუტოვებია.

აწინდელი სასოფლო სასწავლებელი ბავშვს აძლევს ცოდნას წერისას, კითხვისასა და თვლისას, მაგრამ ამ ცოდნას მხოლოდ მაშინა აქვს აზრი და მნიშვნელობა, როდესაც ცხოვრებაში გამოსაყენებელია. უამისოდ არც სასწავლებლების დაარსება და გამრავლება იქნებოდა სასურველი და არც სოფლის ბავშვების სწავლება. რად უნდა იმტვრიოს მოსწავლემ წერა-კითხვის შეძენისათვის თავი, რად უნდა მოაცდინოს გლეხმა თავისი შვილი ათასს სახლის საქმესა და სამუშაოს, თუ ყმაწვილი ისწავლის და მერე ისევე დაივიწყებს, გამოუყენებლად, სარგებელ-გამოუღებლად? ქალაქი ამ მხრივ სულ სხვა მდგომარეობაშია: აქ ადამიანი ნაბიჯს ვერ გადასდგამს ისე, რომ წერა-კითხვის ცოდნა არ დასჭირდეს. სოფლად გლეხ-კაცი ხშირად ისე დაჰქლევს ხოლმე სიცოცხლეს, რომ დასტამბულის ქაღალდის ნახევიც არ ჩაუვარდეს ხელში. რაღა თქმა უნდა, რომ უწიგნოდ ჯერ კითხვის ცოდნა და ხალისი დაეკარგება ადამიანს და მერე ვეღარც წერას შეიძლებს, ძალიანაც რომ იყოს გულით მოწადინებული.

ამისათვის სოფლის სასწავლებელში მიღებულს ცოდნას წერა-კითხვისას მხოლოდ მაშინ ექმნება მნიშვნელობა, მხოლოდ მაშინ ჩაეყრება მკვიდრი და მტკიცე საძირკველ-საფუძველი და ფესვს მაშინ მოიმაგრებს, როდესაც სოფელი სასწავლებელთან ერთად გონიერად შედგენილს წიგნთ-საცავსაც გაიმართავს. მიზეზი ეს არის, ამ წიგნთ-საცავის უქონლობაა, რომ ჩვენს სოფლის სასწავლებელს ჯეროვანი ნაყოფი ვერ მოაქვს, ნათელს ვერა ჰფენს წყვდიადით მოცულს სოფლის ცხოვრებას და ვერავითარს კვალს ვერა სტოვებს. სოფელს არავითარი გასართობი და გულის გადასაყოლიებელი ადგილი არ მოეპოვება, არც თეატრი აქვს, არც კლუბი, ერთად-ერთის სასმელების დუქნის გარდა. ამასობაში გლეხიც ადამიანიშვილია და იმისი ბუნებაცა თხოულობს დასვენებასა და გართობას. აი, ამ მხრივ დიდს სამსახურს გაუწევდა სასოფლო წიგნთ-საცავი, საერთოდ სოფლის ხარჯით დაარსებული და საკითხავად წიგნების უსასყიდლოდ მძლეველი. წერა-კითხვის მცოდნე გლეხ-კაცს შეეძლებოდა წიგნის აღება, კვირა-უქმე დღეს წაკითხვა და ამითი გონებაც განუვითარდებოდა, არც წერა-კითხვა დაავიწყდებოდა და მოცლილსა დ უქმობის გამოარც გარყვნილების ბუდეს — სასმელების დუქანს მიატანდა.

წიგნთ-საცავი სასწავლებელსა და სოფელს ერთმანეთს დაუახლოვებს, მტკიცედ შეაკავშირებს და მასწავლებელს შეძლებას მისცემს, გონებრივი და ზნეობრივი გავლენა იქონიოს იმ თავისს მოსწავლეებზედაც, რომელთაც წერა-კითხვა უკვე შეუსწავლიათ და სასწავლებლისათვის თავი დაუნებებიათ. მასწავლებელს გავლენა ექმნება სასწავლებლის გარეშეც და ჭეშმარიტად ნათელს მოჰფენს განათლებისას მთელს სოფელს, აწ ყოვლად უვიცსა და უცოდინარს. წიგნი, დასტამბული სიტყვა რაკი ერთი ფეხს შესდგამს სოფლის ოჯახში, იმისი იქიდგან გამოდევნა ძნელად შესაძლებელი, თითქმის ყოვლად შეუძლებელი-და გახდება და სწორედ მაშინ შეიძლებს სოფლის სასწავლებელი წიგნთ-საცავითურთ გამკლავებას სოფლის ტვინი-ჭამია ღვინო-არყის დუქნებთან და სძლევს კიდეც, აწ მისგან ძლეული და მნიშვნელობას მოკლებული.

აი, ასეთი ღირს - მნიშვნელოვანია წიგნთ-საცავი ყოველის სოფლისათვის, სადაც-კი სასოფლო სასწავლებელია დაარსებული, სულ ერთია, სამინისტრო სასწავლებელი იქნება იგი, თუ სამრევლო-საეკლესიო. ასეთი დიდი მნიშვნელობა წიგნთ-საცავისა ჩვენში დანახულია კიდეც და, რამდენადაც გვახსოვს, უკვე არსებობს ზოგან ასეთი წიგნთ-საცავი სასოფლო სასწავლებლებთან. მაგალითებრ, ნორიოში სტუდენტმა კალატოზიშვილმა დააარსა წიგნთ-საცავი, არის დაარსებული აგრეთვე საგარეჯოსა, რუისსა და გური ს ორიოდე სოფელში და, ვგონებთ, ცხინვალშიაც უნდა იყოს, რადგან

---

# ფელეტონი

### ქართველთა შორის

ჩვენი საზოგადოება.—ჯერ ნასახიც-კი არსადა სჩანს.—სტომაქის დღეგრძელობა.—საძაგელი ხანა.

ჯერ კიდევ ბევრი მამალი ჩაიხრინწიანებს ყელს და გაიხეთქავს თავს ბეჯითის ყივილით, ვიდრე ჩვენს საზოგადოებას მიეცემა რაიმე ფერი. ქართველი კაცი საზოგადო ცხოვრებისთვის ჯერ ისევ ღრმა ძილშია. ჯერ თვით მისი სიზმრებიც-კი სანუგეშოს არას შეიცავს. ღვინისაგან გაბრუებული იგი ძილში ჰხედავს ან იმასა, რომ თითონ იწევს თავისს საკუთარ ძმაზედ ხანჯლით, ან კიდევ, რომ მისი ძმა გამალებული და გამწარებული გამოქანებულა იმის სიცოცხლის დასაბნელებლად. მაჯლაჯუნა დასწოლია ჩვენს თანამემამულეს გულზედ და ღვთისნიერი კაცი არავინა სჩანს, რომ ქიმუნჯი წაჰკრას ძილქუშიანს და გამოაფხიზლოს. საზოგადო ცხოვრებისათვის ვერც ნიადაგი უპოვნია ქართველს და არც ეხერხება მისი ძებნა.

ჩემმა ღმერთმა, მაგალითებისთვის შორს წასვლა დაგვჭირდება ამის დასამტკიცებლად თუ! რომელმა ჩვენმა მწიგნობარმა არ იცის, რა მნიშვნელობა აქვს ჩვენის ხალხის ცხოვრებისათვის დაუვიწყარს პოეტს ნიკოლოოზ ბარათაშვილს, რომლის ნეშტის სამშობლო ქვეყანაში გადმოტანას შევუდექით. აგერ ერთი წელიწადია თითო-ოროლა გროშიც ხომ გავიმეტეთ და ამ გროშობით ორმოც თუმნამდე ფული შეგვიდგა. მერე, რა გავარიგეთ? რაც არაფრის შეძლება არ მოუცია ჩვენთვის ღმერთს, აბა რას გავარიგებდით! ბევრი ვილაპარაკეთ, ვიღიჯინეთ, ამოხლანძული ყელი ღვინით ჩავირეცხეთ და ამ ღვინოსთან გადავაყოლეთ ტყუილა-უბრალოდ აშლილი წადილები და განზრახვანი. ერთი წელიწადი გავიდა მას შემდეგ და ეხლა აღმოჩნდა, რომ რადგან ჩვენ არაფრის შნო არა გვქონია, ჩვენს მაგიერ კანცელარიებს უკვლევიათ სასაფლაო დაუვიწყარის პოეტისა და, რასაკვირველია, ვერ უპოვნიათ. ჩვენ რაღა ვაკეთეთ? არაფერი. ეს პასუხი მით უმეტეს გულ-საკლავია, რომ შეგვეძლო რამ აინმც გაგვეკეთებინა, ხელი მაინც გაგვენძრია. უსაქმური ხალხი ბლომადა გვყავს, ორმოცი თუმანი ფული შევკრიბეთ. რა დიდი ჭკუა დაგვჭირდებოდა, რომ ერთი ჩვენგანი გაგვეგზავნა განჯას და დაგვევალებინა—წადი, კაცო, ერთი დაათვალიერე, გამოჰკითხე ქვეყანას და შეიტყე, არის-ღა რამ კვალი საყვარელ პოეტის საფლავისა თუ ყოველივე აღგვილია ჟამთა ვითარების მეოხებითაო. მაგრამ ეს მცირე აზრიც-კი არ მოგვივიდა თავში, იმიტომ-რომ მცირეცა და უმაღლესი აზრებიც მხოლოდ ისეთ თავში დატრიალდება, რომელსაც საჭიროდ მიაჩნია ავისა და კარგის გაგება. ჩვენ-კი ამ მხრივ სრულებით უზრუნველყოფილი გვგონია ჩვენი თავი, და მხოლოდ როდესაც ხელიდგან გამოგვეცლება ძვირფასი რამ, მარტო მაშინ მოვყვებით გოდებას, რათა იმავ წუთს დავივიწყოთ დაკარგული და კვლავ უზრუნველობის სამეფოში დავიწყოთ განცხრომა... კიდევ კარგი, რომ სახელოვანის პოეტის ნათესავებმა მოჰკიდეს ამ საქმეს ხელი, თორემ სამუდამოდ შერცხვენილები უნდა დავრჩენილიყავით.

**

ან-კი რის უნარი გამოვიჩინოთ, როდესაც ჩვენში ჯერ ნასახიც-კი არსადა სჩანს ქართველთა საზოგადოებისა, რომელსაც საგნადა ჰქონდეს ერთგული სამსახური ქვეყნის ბედნიერებისა. დღემდე ჩვენს შორის თითო-ოროლა კაცი თუ გამოჩენილა ისეთი, რომლის გულში ანთებული ყოფილა ცხოველ-მყოფელი ლამპარი სამშობლოს ცნობიერის სიყვარულისა, და ამ სიყვარულისთვის მსხვერპლად მოუტანია თავისი ძალა და ღონე, თავისი ჭკუა და გონება, თავისი ცოდნა და გამოცდილება. მაგრამ, რაკი საზოგადოება გულგრილი და უმეცარი ყოფილა თავისის საკუთარის სიკეთის შესახებ, ამისთანა თითო-ოროლა კაცებს ცხოვრებაში სიმწარის მეტი არა უნახავთ-რა.

ჩვენი გონება და ზნეობა ჯერ ვერ შესწვდომია უმაღლესს წყურვილს განათლებულის ცხოვრებისას განათლებულ საზოგადოებაში. ჩვენი ცხოვრება შეიფერებს ყოველ გვარ საზოგადოებას, ოღონდ-კი ამ საზოგადოებას ფეხებზედ ეკიდოს ქვეყანაცა და ქვეყნის საქმეც. მაგალითად, შეგიძლიანთ დააწესოთ საზოგადოება მოქეიფეთა, საზოგადოება ავაზაკთა და მტაცებელთა, საზოგადოება მეჭორეთა და სხვანი. ამისთანა საზოგადოება ძლიერ ადვილად მოიკიდებს ჩვენში ფეხს, აღორძინდება და განძლიერდება თითქმის თვალის დახამხამებაზედ. მაგრამ აბა სცადეთ და დააარსეთ საზოგადოება, რომელსაც საგნად ჰქონდეს რაიმე სიკეთე შეჰმატოს ქვეყანას, თუ თვით თქვენმა ამხანაგებმავე მასხარად არ აიგდონ თქვენი განზრახვა და არ ჩაფუშონ საქმე, რაც უნდა ადვილი განსახორციელებელი იყოს ყველგან, საცა-კი ხალხს ერთი ბეწო სიფხიზლე დასტყობია.

ჩვენში არა თუ თითონ არავითარი ხალისი არა გვაქვს საქვეყნო საქმის წარმოებისა, არამედ თითქმის ყოველი ჩვენი თანამემამულე თავის მოვალეობადა სთვლის ჩაუსაფრდეს სადმე სახიფათო ადგილს ჩვენს მოღვაწეს და მიაყაროს ტლინკები ან ერთი კაი „ბრანწი“ მაინც მიაძახოს, თუ ტლინკი ვერ მოუხდა როგორმე...

**

მეტყვიან, ეს ხოლერობა ხომ გათავდა და მაგეთი დარდიანი ამბები რა ჭკუაში მოგსვლია, ეხლა სიმხიარულე გვმართებს და შენც სამხიარულოს უნდა მოჰკიდო ხელიო. ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუბერნატორსა სთხოვეს იმისი ნება-რთვა.

სასოფლო წიგნთ-საცავს დიდი ფული არ დასჭირდება: ხუთი-ექვსი თუმანი იკმარებს კოპწია წიგნთ-საცავის დასაარსებლად. ვიმეორებთ, უწიგნთ-საცავოდ სასოფლო სასწავლებელი მნიშვნელობას ყოვლად მოკლებულია და ყოველი სოფელი, რომელიც-კი სასწავლებლის დაარსებას განიზრახავს, ადრევე უნდა შეუდგეს ამ საქმის ზრუნვას და, საზოგადო შეწირულებანით იქმნება, თუ სოფლადვე მოკრეფილის ფულით, სასწავლებელთან ერთად წიგნთ-საცავიც დააარსოს. წიგნთ-საცავის ყველგან დაარსება, ზემოხსენებულს გარდა, ერთს სხვა სარგებლობასაც მოიტანს. ჩვენს წიგნების მაღაზიებში უძრავად და უმუშტროდ აწყვია წიგნები, წიგნის გამომცემლები ახალს წიგნებს ველარა ჰბეჭდავენ, რადგან წინანდელი გამოცემულებიც არ გავრცელებულა. მაშინ წიგნებსაც ბაზარი გაუჩნდება, გასავალი ექნება და წიგნების გამოცემის საქმეც წინ წაიწევს და ფეხს აიდგამს, რაც ყოველის განათლებულის ქართველისათვის სულითა და გულით სანატრელია და სასურველი.

მანოელიძე

## ახალი ამბავი

*** კვირას, 25 ოქტომბერს, 11 საათზედ, ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა საზოგადო კრება კავკასიის სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოებისა ექიმის ს. ნავასარდიანის თავჯდომარეობით. კრებაზედ დაესწრო 40 წევრი და 40 გარეშე კაცი. კრებაზედ წაკითხულ იქმნა და დამტკიცებული წინა კრების ანგარიში. შემდეგ გაარჩიეს ამ საზოგადოების ყარსის განყოფილების მიერ გამოგზავნილი თხოვნა იმის შესახებ, რომ საზოგადოებამ გვასესხოს ყარსში ხოლერისაგან დაზარალებულ სომეხთა სასარგებლოდ 1,000 მანათი 3 წლის ვადითაო. ეს თხოვნა შეწყნარებულ იქმნა საზოგადოების კრებისაგან. შემდეგ გაარჩიეს ბათუმის განყოფილების თხოვნა იმის შესახებ, რომ ქ. ბათუმში სომეხთა სკოლის დასაარსებლად საზოგადოებამ გვასესხოს 3,000 მანათი 3 წლის ვადითაო. ეს თხოვნაც ერთ-ხმად იქმნა შეწყნარებული. დასასრულ საზოგადოების წევრმა ბ-ნმა მატინიანმა მიჰმართა კრებას და ჰკითხა, რად დასტოვა უყურადღებოდ საზოგადოების საბჭომ ჩემი და ჩემ ამხანაგთა მოხსენება იმის შესახებ, რომ საზოგადოებას ხოლერასთან საბრძოლველად გადაედო კიდევ 5,000 მანათიო. ამ საგნის განხილვა შემდეგის კრებისათვის გადასდეს.

*** ზაქათალიდგან დეპეშით გვაცნობებენ: 24 ოქტომბერს ინჟინერს ტ—ს უცაბედად გაუვარდა რევოლვერი და მძიმედ დაიჭრა თავში ზაქათალის ოლქის ტყის უფროსი კ. ი. ხანდამიროვი. დაჭრილის მორჩენა ძლიერ საეჭვოა.

*** ტფილისის მაზრის სამხედრო ბეგრის საკრებულო 1 ნოემბერს გაემგზავრება ახალშენ ელისაბედდალს ჯარის-კაცთა მოსაკრებად და აქედგან წავა ჯარის მოსაკრებადვე სართიჭალას. ტფილისს ჯარის-კაცთა მოკრება დაიწყება 19 ნოემბერს. კენჭის ყრის შემდეგ ახლად მოკრეფილ ჯარის-კაცთ დაითხოვენ თავთავიანთ სახლებში 4 დეკემბრამდე და შემდეგ-კი ტფილისის მაზრის უფროსთან უნდა გამოცხადდნენ.

*** გაზეთებში არა ერთხელ ყოფილა დაბეჭდილი, რომ საჭიროა სასტიკად აღიკრძალოს მაკე საქონლის დაკვლა. ამ დღეებში პირუტყვთა მფარველ საზოგადოების ერთმა წევრმა მიართვა თხოვნა გუბერნატორს, რომლითაცა სთხოვს, ტფილისის ყასბებს აღუკრძალეთ მაკე საქონლის ხოცვაო. იმედია, რომ ბ-ნი გუბერნატორიცა და ქალაქის გამგეობაც ამ გარემოებას მიაქცევენ ყურადღებას, რადგანაც, სხვა არა იყოს-რა, მაკე საქონლის ხოცვა ძლიერ საზარალოა მეურნეობისათვის.

*** 25 ოქტომბრის წინა ღამეს ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტფილისის სადგურზედ მუშების სადგომიდგან მოიპარეს ზანდუკი, რომელშიაც მუშების კასსის ფული იყო, სულ 1450 მანეთი. ეჭვი მიიტანეს ერთს მუშაზედ, ანდრო გ—ზედი რომელიც იმ ღამეს სადღაც გაჰქრა, ეს მუშა ტფილისის მეათე ნაწილის პოლიციამ მეორე დღესვე შეიპყრო. დაკარგული ფული ჯერ ვერ უპოვნიათ.

*** „ქართველთა წიგნების გამომცემელი ამხანაგობა“ ამ დღეებში შეეკვრის პირობით ჩვენს მწერალს თ. რ. დ. ერისთავსაც და დაიწყებს იმის ნაწერების სრულის კრებულის ბეჭდვას ტომებად. დიდის თანაგრძნობის ღირსია, სწორედ, ასეთი მხნეობა და თავ-გამოდებული მოღვაწეობა ჯერ ისევ ნორჩისა და ახლად შემდგარის „ამხანაგობისა“. ამ დღეებში შემთხვევით გადავათვალიერეთ სია იმათი, ვინც ჩაწერილა უკანასკნელ საზოგადო კრებამდე და მას წინად ამხანაგობის წევრად და უნდა ვსთქვათ, სრული იმედია, რომ „ამხანაგობის“ საქმეს არა დააბრკოლებს-რა და ისე იწარმოებს, როგორც სასურველია. ამისი თავმდებია, ვიმეორებთ, თვით სია ამხანაგებისა, რომელთა შორის არიან ჩვენი საზოგადო მოღვაწენიც, ცნობილნი თავიანთის ცოდნითა, გამოცდილებითა და ფრთხილის მოქმედებით.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობა აპირობს, ტფილისსა და ბაქოს შუა ატაროს ორი სახალხო მატარებელი კიდევ, როგორც ბათუმსა და ტფილისს შუა დადის.

*** გუშინ ტფილისში ჩამოვიდა მოსკოვის ცნობილი ვაჭარი ჩაისა კ. ს. პოპოვი, რომელიც აპირობს კავკასიაში სხვა-და-სხვა ალაგის დათვალიერებას ჩაის მცენარის მოსაშენებლად. ჩაის მცენარე ბ-ნს პოპოვს სწადიან ჩინეთიდგან გამოიწეროს და მოსავლელადაც ჩინელები მოიწვიოს, მანამ აქაური მცხოვრებლები ისწავლიან ჩაის მოვლა-გაშენებას.

*** ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა პოლიციის ბოქაული ა. ი. ლოლაძე გაგზავნა გორის მაზრაში იქ ახლად გამოჩენილ ავაზაკების დასაჭერად.

*** სამ-მოქმედებიანი ახალი პიესა მ—ნისა „გამოურკვეველი ოცნებანი“, რომელიც დღეს უნდა წარმოადგინოს ჩვენმა სათეატრო დასმა, სხვა-და-სხვა მიზეზის გამო, შესამჩნევად იქმნა შემოკლებული: პირველი მოქმედება თითქმის განახევრდა, ხოლო უკანასკნელს მოქმედებას უკანასკნელი სცენა მოეკვეთა.

*** კვირა დილით ტფილისით გაიარა სამხედრო მატარებლით 53 ჯარის-კაცმა, რომელნიც შუშიდგან მოდენილან თავიანთ სამშობლოში დასაბრუნებლად, რაკი ჯარში ყოფნის ვადა გაუთავებიათ. მათ შორის რკინის გზის სადგურ „ევლახში“ ოთხი ხოლერით გამხდარა ავად და ერთი უკვე გარდაცვლილა. დანარჩენნი, კავკასიის მთავარ-მმართებლის ბრძანებისამებრ, შვიდის დღით განჯაში კარანტინ ქვეშ უმყოფებიათ. მიუხედავად ამისა, ტფილისშიაც სადეზინფექციო წამლები ასხურეს, გასინჯეს თითოეული და შემდეგ ისე გაისტუმრეს ბათუმს. ჯარის-კაცნი დიდად მხიარულნი და გახარებულნი იყვნენ და მთელს დღეს ღვინოსა და არაყს შეექცეოდნენ მახლობელს დუქანში.

*** სოფ. ქარელში, როგორც ოფიციალურის ცნობითა სჩანს, ყვავილი მძვინვარებს. ამ უკანასკნელს დროს ქარელში ყვავილით ავად გამხდარა 53 ყმაწვილი და ამათში რვა უკვე გარდაცვლილა.

*** ახალ-სენაკი: ჩვენს დაბას დღემდე სასაფლაო არა ჰქონდა, რის გამოც მეტის-მეტად შეწუხებულნი ვიყავით. ამას წინად აქაურს მემამულეს თავ. ხუტუნია მიქელაძეს მიჰმართა ქალაქის გამგემ, რომელიც სთხოვდა, ცოტა იაფად დაეთმო თავისი მიწა ქალაქისთვის. ქველ-მოქმედმა თავადმა ერთ ქცევაზედ მეტი ადგილი უფასოდ დაუთმო ქალაქს სასაფლაოსთვის.

*** ქ. ქუთაისი: შაბათს, 24 ოქტომბერს, რომანოზ ჭიპაძის სახლში შემდეგი ამბავი მოხდა: დილით მოსამსახურე ბიჭმა ბუხარში ცეცხლი დაანთო სამოვარისათვის. ამ დროს რომანოზ ჭიპაძის სამის წლის ყმაწვილი ქალი „ლიუბა“ ბუხართან მისულიყო. უცაბედად ამ ყმაწვილს ცეცხლის ალი კაბაზედ მოსდებოდა, ბავშვს ძალზედ შეშინებოდა და კივილი მოერთო. ამ კივილზედ დედამამა მიეშველა ყმაწვილს და ძლივს გადაარჩინეს ბავშვი ცოცხლად დაწვას. ყმაწვილს ძლიერ დასწვია გულ-მკერდი, მუხლი, მკლავები და ცალი ლოყა. მკურნალებს იმედი აქვთ ყმაწვილის მორჩენისა.

*** პანკისის ხეობა (თიანეთის მაზრა): სექტემბრის უკანასკნელ რიცხვებში გავარდა ხმა: პანკისის ხეობაში ხოლერა გაჩნდაო. მკურნალმა, რომელიც აქ მოვიდა მაზრის უფროსითურთ, გასინჯა ავადმყოფნი და შეამოწმა, რომ ხოლერა არ არისო. დღესაც დარწმუნებით არ ვიცით, რა უნდა ყოფილიყო ეს სენი? ავადმყოფებს აფალარათებდა, პირს ასაქმებდა, ხელ-ფეხის კრუნჩხვა მოსდიოდა და მერე... ზოგი რჩებოდა და ზოგი უტევებდა ამ სოფელს. ეს-კი უნდა მოგახსენოთ, რომ ბევრი არ გამხდარა ავად და ვინც ავად იყო, მომეტებული ნაწილი მორჩა. გარდაიცვალა რვა კაცი. პირველად ამ სენმა თავი იჩინა ქისტებისსოფელს ჯოყოლოში და, იმსხვერპლა რა აქ სამი კაცი, შემდეგ სოფ. ყვარელ-წყალზედ გადავიდა. აქაური ფშაველები სახელ განთქმულნი არიან ბინძურობითა და უზრუნველობით. „თავის ბედის მწერალს ვერსად დაემალება კაციო“, გაიძახოდა ხალხი, „ერთწლის საშოლეზედ ნაკიდებავ ერკამლის დუმას“ მიირთმევდა და თანაც დაჰღიღინებდა: „რასტომსთქვა... ერთხელ სჯობია სიკვდილი, სულ მუდამ დაღონებასა“. ერთის სიტყვით, გაფრთხილების ნიშან-წყალი არსადა სჩანდა. მაგრამ ღმერთმა გვიშველა, აცივდა და ეს სენიც მოგვშორდა.

---

რემლაც ამისთანების წერა თითონ მეც არ მინდა, მეც სამხიარულოს უფრო ვეტანები, მაგრამ რას იზამთ, როდესაც უყურებ ჩვენს უფერულსა და გახუნებულს ცხოვრებას თვალგაფაციცებული, გინდა შორიდგან მაინც მოჰკრა თვალი სინათლეს რასმე და წინ გადაგშლია ერთი უშველებელი ზღვა კუკუნეთისა, რომელსაც საგანთიადო აღარსად-რა უჩანს!...

ზაფხულობით კიდევ ცოტად მაინც ისვენებს კაცი. ეს ჩვენი აგრეთ წოდებული საზოგადოება გაიფანტება სოფლად. რაღაც იმედი გეძლევა, რომ იქნება სოფლის შეზავებულმა ბუნებამ მაინც როგორმე ფერი უცვალოს შენს ნაცნობებს, ჩაჰბეროს სული ჩვენის ტურფა ქვეყნის სიყვარულისა, გააფხიზლოს მათი ბინდმორეული გონება, მოარბილოს მათი გული, დაავიწყოს ერთმანეთის სიძულვილი, მტრობა, შური, ამოარეცხოს მათის გულიდგან განუსაზღვრელი თავ-მოყვარეობა წვრილმანობისა, კაცი კაცად აქციოსო. თანაც გგონია, რომ საშემოდგომოდ ერთი-ორი ახალგაზდა მაინც დაბრუნდება თავის ქვეყანაში სწავლა დამთავრებული, მოვა, სხვა მუშაკებს ამოუდგება მხარში, გაამხნევებს და შეერთებულის შრომით გაადვილდება უღელი ქვეყნის სამსახურისაო.

დადგება თუ არა შემოდგომა, წასული ხალხი კვლავ დაუბრუნდება ქალაქს, და ერთი შეხედვითვე გიმტყუნდება ყოველი იმედი. ჰხედავ, რომ სოფლის ბუნებას ამაოდ ჩაუვლია შენის ნაცნობების გულისა და სულის გამოკეთებაზედ, რომ მთელი ძალა ამ ბუნებისა მიმართული ყოფილა მხოლოდ სტომაქის დღეგრძელობისაკენ. ჰხედავ ისევ იმ თომას ისევ იმ ტყავში. თვით ზოგიერთნი ახალგაზდანიც, რომელთაც შუბლზედ გაუკრავთ დამღა უმაღლესის სწავლისა, უფრო დაბურულ ტყისაკენ იყურებიან, რომ ეგება უპატრონო ცხვრის ფარას გაჰკრან როგორმე კბილი, ვიდრე ქვეყნის სიკეთისაკენ. ალბად ის დამღა მხოლოდ მოსაჩვენებელი ნიშანი ყოფილა და ადგილიც მისთვის შუბლზედ არ უნდა ამოერჩიათ, რადგან სტომაქი უფრო უპრიანი იქნებოდა, უფრო შესაფერი. ჰხედავ ყოველსავე ამას და გიკვირს: თუკი ჭაბუკი კაცი ახალგაზდობის დროს არ ეტანება საქვეყნო საქმეებს, თუ-კი სიჭაბუკეში არ უღვივის ცეცხლი სამშობლოს სიყვარულისა და სამსახურისა, მაშ როდესაც ხანში შევა, რა ჩარდახად-ღა გადაეხურება თავის ქვეყანას, რაღა ხალისი შეჰყვება!..

**

დიაღ, ბატონებო, მწარე სანახავია ჩვენი უფერული ცხოვრება და სუსხიც ამ სიმწარისა უფრო საგრძნობელია შემოდგომის დამდეგს. შესვენებული ხალხი დაბრუნდება ქალაქებისაკენ და საკვირველის მედგრობით გააახლებს ხოლმე დროებით შეჩერებულს საქმეს ურთიერთის სიძულილისას, ურთიერთის დევნისა და გასახტებისას, შერცხვენისას. ჩამოსვლისათანავე გაიმართება სეზონი გაჩაღებულის ჭორებისა, ცილის-წამებისა, ტყუილ-უბრალო გმობისა და სხვა ამისთანა სიკეთე.

საძაგელი ხანა დადგა ჩვენის ცხოვრებისა. ვინც უფრო მოხერხებულს ნაცილს გამოატყვრენს და კოხტად მორთავს ჭორიკანაობის გუდას ჩვენის თანამემამულის შესახებ, დღეს პირველი კაცი ის არის, ყველასაგან მიღებული და მიჩნეული, ყველა იმის ლაპარაკს ისმენს და კაცადაც ის მიაჩნია. ამის გამო ჩვენის გონების ძალ-ღონეც იქითკენ არის მიმართული, რომ ჭორიკანობაში არავის ჩამოუვარდეთ და კიდეც ვაჯობოთ სხვებს, თუ-კი შევიძელით. ამის გამო სირცხვილად თითქმის აღარავის მიგვაჩნია ზურგს უკან შეურაცხვყოთ ჩვენი მოძმე, ვაგინოთ, ვათრიოთ, გავასასაცილოთ, შევეხოთ მის ადამიანურს ღირსებას და შავი მური წავუსვათ მის სინიდისს, მის რწმენას და მის უტყუარს ღვაწლსაც-კი და ყოველივე ეს მოვიქმედოთ მაშინ, როდესაც ჯერ საზოგადო მსჯავრი არ წარმოთქმულა და საქვეყნოდ არ დამტკიცებულა კაცის ავი ადამიანობა და მისი ავაზაკობა. კაცის მკვლელსაც-კი თვით სასამართლოს მოხელენი პატივისცემით ეკიდებიან და სამარცხვინო სახელს კაცის მკვლელისას არა ჰკადრებენ, ვიდრე უტყუარი განაჩენი არ დაუდვიათ. ჩვენში-კი კაცის ღირსება გროშად აღარა ღირს...

ამისთანა საზიზღრობას როდესაცა ჰხედავ გონება-დახშულ საზოგადოებაში, სადაც განუსაზღვრელადა ჰმეფობს ხელ-უხლებელი უმეცრება, სირეგვნე და ბრიყვობა, კიდევ რაიმე ნუგეში გრჩება გულში, რომ ოდესმე მაინც მოეღება ბოლო ამ საზიზღრობასაო, ხალხი განათლდება და უკეთესს საგანს ამოირჩევს ცხოვრებისასო. მაგრამ როდესაც ეს საშინელი სენი ხელს დაჰრევს ნაწილს განათლებულ ხალხისას, რომელსაც ბევრი უნახავს ავიცა და კარგიც, მაშინ-კი სწორედ მაგარი გული უნდა გქონდეთ, რომ სასოწარკვეთილებამ კლანჭი არ გაგკრათ. იმედებზედ ხომ დროებით მაინც ხელი უნდა აიღოთ.

ან რა იმედი უნდა გქონდეთ, ვთქვათ, ჩვენი, რას უნდა გამოელოდეთ ჩვენგან, თუ ჩვენ ჩვენს ცოდნას, განათლებას, გამოცდილებას, ერთის სიტყვით, განვითარებულს ძალ-ღონეს გონებისასა და ზნეობისას ვანდომებთ არა საქვეყნო საქმეებს, არამედ იმას, რომ საზიზღარის ჭორებით იმათაც მოვაკლოთ მხნეობა, ვისაც-კი ქვეყნისათვის გული შესტკივათ და საქვეყნო საქმეს ერთგულად უდარაჯებენ!..

აი, როგორი ფერი მიიღო ჩვენმა ცხოვრებამ და, თუ შეგიძლიანთ, იმხიარულეთ, დროება გაატარეთ ამისთანა ყოფაში.

სანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მთავრობის განკარგულებანი

ავარიის ქვეითა ჯარის სათადარიგო ბატალიონის პოდპორუჩიკი თავადი ჯორჯაძე გადაყვანილ იქმნა ასლანდუზის სათადარიგო ბატალიონში.

თ. დავით კირილეს ძე ციციშვილი, თავისისავე თხოვნისამებრ, გორის სამაზრო სამართველოს მე-X კლასის შტატს გარეშე მოხელედ იქმნა დანიშნული.

კავკავის ქართველთა კერძო სკოლის მასწავლებელი, ალექსანდრეს სასტატო ინსტიტუტში კურს-დამთავრებული ივანე ბედელაძე დანიშნულ იქმნა ყიზლარის სამოქალაქო ორ-კლასიან სასწავლებლის შტატს გარეშე მასწავლებლად.

სოხუმის სამთო სკოლის მასწავლებელი კასილი ადამია გადაყვანილ იქმნა სოხუმის ოლქის ნორმალურ სასწავლებლის ზედამხედველად და მასწავლებლად.

## ქალაქის საბჭო

ორშაბათი, 26 ოქტომბერი

საკმაოდ ბლომა რიცხვი ხმოსანთა დაესწრო საბჭოს კრებას 26 ოქტომბერს, ორშაბათს. კერძო მაყურებელი ხალხიც იმოდენა იყო, რომ გალერეიაში თავისუფალ ადგილს ვერა ჰნახავდით. ამ კრებას ბევრი საყურადღებო საგანი ჰქონდა განსახილველი, საღამოც ჩინებული იდგა და ამიტომ მაყურებელნი ბლომად მოვიდნენ. შემდეგ წარსულ კრების ოქმის წაკითხვისა, ქალაქის მოურავმა წინადადება მისცა კრებას, რომ ყველაზედ ადრე განეხილა მოხსენება გამგეობისა იმის შესახებ, რომ მომატებულ იქმნას უძრავ ქონებათა დაფასების ხარჯი, რათა ამ ხარჯით დაიბრუნოს ქალაქის კასსამ როგორც ხოლერის გამო გარდახდილი ფული, აგრეთვე ის ზარალი, რომელიც კასსას მოსვლია წარსულ შვიდის წლის განმავლობაში. აჩქარება ამ საქმის განხილვისა იმიტომ არის საჭირო— სთქვა ქალაქის მოურავმა: რომ თუ საბჭო შეიწყნარებს და მოუმატებს ხარჯს, ბევრი შრომა მოგვინდება წიგნების გასასწორებლად, განცხადებათა გასაგზავნად და ესე ყოველივე უნდა შესრულდეს პირველ იანვრამდე, თორემ შემდეგ ველარ გავწერთ ხარჯსა მეორე წლამდეო.

მოსმენილ იქმნა წინადადება გამგეობისა ამ საგნის შესახებ, აგრეთვე ცალკე აზრი გამგეობის წევრთა პ. ა. იზმაილოვისა და ე. ე. ხოსროევისა, ბოლოს წაიკითხეს ამ საგნისავე შესახებ აზრი საფინანსო კომისიისა.

ხმოსანი ნ. ი. ნიკოლაძე. ამ საგანზედ ბაასი შეიძლება მაშინ, როდესაც მოვისმენთ განმარტებას გამგეობის წევრთა ცალკე აზრისას. ცალკე აზრის წარმომთქმელნი გვეუბნებიან, რომ დაფასების ხარჯის მომატება საკმარისია ერთის წლითაცაო, რადგან სხვა დეფიციტების გასტუმრებას ქალაქის კასსა ისეც მოახერხებს, რომ სახლის პატრონები არ შევავიწროვოთ რამდენისამე წლის განმავლობაში ხარჯის მომატებითაო. ეს ისეთ უსაბუთო აზრად მიიჩნია საფინანსო კომისიამ, რომ თუ საფუძველი არ შევვატყობინეს, ძნელია დაიჯეროს კაცმა.

წევრი გამგეობისა პ. ა. იზმაილოვი. ჩვენ ცალკე აზრს დავადექით და ცხადად გამოვსთქვით, რომ ქალაქის კასსა უარესს გაჭირვებაში ყოფილა და მშვიდობიანად დაუღწევია თავი გაჭირებისათვის, და ეხლა სრულებითაც არა ვართ ისეთს ყოფაში, რომ ყვირილი შევქმნათ—არიქა, გვიშველეთო. ეს ჩვენი აზრია. აი, დაგვანახვეთ, რომ უიმედო ყოფაშია ჩვენი კასსა, და მაშინ ჩვენც ჩვენსას მოგახსენებთ.

წევრი გამგეობისა ა. ა. ივანენკო. ჩვენი უიმედო ყოფა აშკარაა. მართალია, 1888 წელს დეფიციტი უფრო მეტი გვქონდა, მართალია, მაშინ ზარალი იყო 203,000 მანეთი და ეხლა—200,000 მანეთია; მართალია, მაშინ ძალიან არ გაგვიჭირდა იმ დეფიციტის გაძლოლა, მაგრამ მაშინ გამგეობა სახსარსაცა ჰპოულობდა დეფიციტის დაფარვისას: ერთის ჯიბიდგან მეორეში გადაჰქონდა ფული და ეგონა, დეფიციტი მოვიშორეო. ამისთვის ფულსაცა ჰშოულობდა ქალაქის პირველ საობლიგაციო სესხიდგან, დააგირავა საქალაქო სახლი ათი ათას თუმნად და სხვანი. ვალით ვალს ისტუმრებდა მაშინდელი გამგეობა და უფრო აძნელებდა ქალაქის კასსის ყოფას. ეს გზა დიდად მავნებელი იყო და ეხლა, კიდეც რომ შეიძლებოდეს ვალის აღება, მაგ გზას ველარ დაადგება ახალი გამგეობა. მაგრამ ძნელი ის არის, რომ ვალსაცკი ველარსაიდგან ვიშოვნით. ზარალსკი აყენება უნდა, მეტი სახსარი არ არის, საბჭომ უნდა შეაწეროს შვიდის წლით ახალი ხარჯი სახლის პატრონებს და ეს დეფიციტები გასწმინდოს როგორმე.

ნ. ი. ნიკოლაძე. მეც და მთელი საფინანსო კომისიაც ძალიან მადლობელნი ვართ გამგეობის წევრთა უმრავლესობისა, რომ ასე ცხადად დაგვანახვეს მდგომარეობა ქალაქის კასსისა. დღეს საბჭომ ჯერ პირველად ის უნდა გადასწყვიტოს, მართლა ასეთს გაჭირვებაშია ქალაქი და მართლა ეხლავ უნდა ეშველოს ამ გაჭირვებას, თუ შეიძლება მოცდა საკლაოდ. მოგახსენებთ მაგალითს. ავადმყოფს ხელზედ გამოუვიდა მუწუკი. ერთი ექიმი გვეუბნება, რომ ავადმყოფის მოსარჩენად საკმარისია მოსჭრათ ეგ მუწუკიო. მეორე ექიმი-კი იძახის—თუნდა მოსჭრათ კიდეც მუწუკი, მაგით ავადმყოფს ვერ მოარჩენთ, რადგან მაგას ისეთი სენი აქვს გამჯდარი მთელს სხეულში, რომ ახლა სხვაგან ამოუვა აგეთივე მუწუკიო. გამგეობის უმრავლესობის აზრი ეთანხმება მეორე ექიმის აზრს, უმცირესობის აზრი-კი პირველისას. ჩვენ უნდა განვიხილოთ, რომელი მათგანი უფრო მართალია.

პ. ა. იზმაილოვი. მაგალითებით ლაპარაკი კარგია, როდესაც მაგალითი შეეფერება საქმის ვითარებას. მეც მაგალითს მოგახსენებთ და ვეცდები, რომ იგი უფრო შეეფერებოდეს საქმის ნამდვილ ვითარებას. მე და ა. ა. ივანენკოს დიდი ხანია გაუთავებელი კამათი გვაქვს იმის შესახებ, თუ რა არის დეფიციტი. ვთქვათ, ათი ათასი თუმანი ნაღდი ფული გიძევთ ჯიბეში, ვთქვათ, ეს ფული მთლად ჩაჰყარეთ სახლის აშენებაში მარჯვე ადგილას. ა. ა. ივანენკო იძახის, რომ რა-კი ნაღდი ფული სახლად აქციეო, ეგ ფული სულ დეფიციტად უნდა ჩაითვალოსო, ეგ სულ ზარალიაო. მე-კი ვამბობ, რომ აქ დეფიციტის აჩრდილიც არსად არის, აქ ფული უძრავ ქონებად იქცა-მეთქი. ვინ მართალია, თქვენ განსაჯეთ, ხოლო მე დეფიციტს ვერ დავუძახებ იმ ფულს, რომელიც ჩავყარეთ მილის წყლის გაკეთებაში, ხიდების აშენებაში და სხვანი. მანდ ფული ქონებად ვაქციეთ და ეგ ქონება კარგს შემოსავალსაც იძლევა, შემდეგში ხომ უფრო მეტსაც მოგვცემს. რაიცა შეეხება მოვალეთა გასტუმრებას, მე დარწმუნებული ვარ, რომ კასსა მაგას ადვილად მოახერხებს თავის ყოველ-დღიურ შემოსავლიდგან.

ხმოს. კ. სარაჯიშვილი. დაფასების ხარჯის მომატება ძალიან ძნელი ასატანი იქნება უძრავ ქონებათა პატრონებისათვის, რადგან მათი შემოსავალი ეხლანდელს ხარჯსაც ვერა სწვდება. ამიტომ უფრო სამართლიანი იქნება რამდენიმე წავუმატოთ მილის წყლის ფასს. ვისაც სახლებში გაყვანილი აქვთ წყალი, ისინი ხუთ „ვედროში“ ერთ კაპეიკს იძლევიან. ამათ რომ კვლავინდებურ ოთხი „ვედრო“ მივცეთ კაპეიკად, წელიწადში თითქმის სამი ათას თუმანს მეტს შევძენთ ჩვენს კასსას.

ამავე აზრის გამოსასარჩლებლად ილაპარაკა ხმოსანმა შახაზიზოვმა.

შემდეგ ხანგრძლივის ბაასისა კრებამ უარ-ჰყო დაფასების ხარჯის მომატება. ბოლოს ქალაქის მოურავმა სთხოვა საბჭოს, რომ სასანიტარო რაზმები დარჩეს კიდევ ერთს თთვესო. კრებამ შეიწყნარა ეს წინადადება.

## ტაბაძ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**აბჟუვა** (კოდორის განყოფილება სოხუმის ოლქისა). კაი ხანია, რაც აბჟუვადგან არ მოგვიწოდებია თქვენთვის არავითარი ამბავი. ეს იმიტომ, რომ ჩვენი ცხოვრება ერთ გვარად მიმდინარეობს, ნიადაგ ერთი და იგივე ჭირ-ვარამი გვაწუხებს, იგივე რიგიანის განათლების ღონისძიებათა უქონლობა, იგივე უგზოობა, იგივე ქურდობა, იგივე უსამართლობა და სხ. და სხ. ერთის სიტყვით, ჩვენი ცხოვრება ერთ გვარად მიმდინარეობს და არც ფერსა ცვლილობს, არც ზნესა.

გეხსომებათ, რომ ამ გაზაფხულის პირზედ მთავრობას წარედგინა ერთი ახლად შედგენილი წესდებულება ქურდობის მოსპობისა და თხოულობდნენ იმის დამტკიცებას. ეს ამბავი თავის დროზედ „ივერიაშიაც“ იყო მოხსენებული. აი ეს წესდებულება, მთავრობის მიერ დამტკიცებული, დღეს მოქმედებაშია კიდეც. იმის წყალობით ცოტაოდნად უზრუნველ ყოფილი ვიყავით ქურდობისაგან.

მხოლოდ ეხლა, ამ შემოდგომაზედ, თითქმის კვლავინდებურად ჩაღდება ისევ ქურდობა. ამისი მიზეზი წესდებულების სიავკარგე-კი არ არის, არამედ ის გარემოება, რომ ყოველ კანონს, თუნდა წესდებულებას მხოლოდ მაშინ მოაქვს მოსალოდნელი სარგებლობა, როდესაც ყოველი მუხლი ამ კანონისა ანუ წესდებულებისა სრულდება უმეტ-ნაკლებოდ თავ-თავისს დროსა და რიგზედ. კანონი, რაც უნდა სამართლიანი და ჩვენთა საჭიროებათათვის ზედ გამოჭრილი იყოს, მაინც ვერ მოიტანს ჯეროვანს სარგებლობას, თუ არ ასრულებენ აღმსრულებელნი მისნი სწორედ, სრულად და სავსებით...

იმედია, ვისიც ჯერ არს, უფრო ერთგულად, უფრო მუყაითად მოეკიდებიან ამ წესდებულების თითოეულის მუხლისა და მოთხოვნილების აღსრულებას, თუ-კი ნამდვილად გული შესტკივათ საზოგადოების კეთილდღეობისათვის.

საჭიროა მემატიანემ აღნიშნოს მეორე ამბავიც. ზედამხედველი სოხუმის მთიელთა სკოლისა, ბ-ნი კ. დ. მაჭავარიანი, გადაყვანილ იქმნა სხვაგან და იმის ადგილზედ ახალი დაინიშნა. ამ ახალმა ზედამხედველმა ჩვენის განყოფილების უფროსთან ერთად ურჩიეს სამურზაყანოსა და აბჟუვას წარმომადგენლებს, კომლზედ სამ-სამი მანათი თავად-აზნაურობას და მანეთ ნახევარი გლეხობას გამოეღოთ, თუნდ ერთბაშად, თუნდ სამის წლის განმავლობაში, და დაჰპირდნენ ამ ფულით სოხუმის დღევანდელს სკოლას ოთხ-კლასიან სასწავლებლად გადავაკეთებთ სამეურნეო განყოფილებითაო. საზოგადოებამ თანაუგრძნო ამ რჩევას და სრული თვისი თანხმობა გამოაცხადა.

მესამე ამბავიც. აბჟუვაში ერთი სამამასახლისოა—გუფისა, სადაც სცხოვრობს რვაას კომლამდე მოსახლე. ამ სამამასახლისოს ერთი დიდი სოფელი, ტკვარჩელი, მთავრობის ნება-რთვით, ცალკე გავიდა და დაწესდა ცალკე სამამასახლისო ტკვარჩელისა.

ს. ტკვარჩელი იმითია შესანიშნავი, რომ საკუთარი ტყე აქვს ბზისა. დიდი ხანია, ამ ტყის გაყიდვის ნებართვას თხოულობდა ტკვარჩელი, რათა აღებული ფული სხვა-და-სხვა საზოგადო საჭიროებას მოჰხმარებოდა. ახლა ბ-ნი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი დაჰკითხებია აქაურს ადმინისტრაციას, რამდენი ათასი მანეთი მოუნდება მაგ სოფელს იმ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, რაც აღნუსხულია მის თხოვნა-არზაშიო. აქაურს ადმინისტრაციასაც მოუხსენებია, ხუთი ათასი მანათი მოუნდებაო. ჩვენ არას მოგახსენებთ ამ ხუთი ათასის მანათის მეტ-ნაკლებობის შესახებ. გადარჩენილი ტყეც ხომ იმავე სოფლის საკუთრებაა და საჭიროებისადა გვარად მერეც შეეძლება მოიხმაროს. ჩვენ აქ ფრიად საყურადღებოდ ორი საგანი მიგვაჩნია: ერთი—როგორ იქნება გაყიდული ეს ხუთის ათასის მანათის ბზა? მეორე—როგორ იქნება მოხმარებული საზოგადო საჭიროებისათვის ეგ ხუთი ათასი მანეთი?

ეხლაც დიდი მითქმა-მოქმაა, რომ ამ თავითვე, ჯერ როცა გუბერნატორის მიერ ნება-რთვაც არ არის დამტკიცებული და მოსული, თითქოს სხვა-და-სხვა მოხერხების წყალობით მიეყიდოს ეს ბზე ერთს ვაჭარს, ტომით უცხოელს, საპალნე (12 ფუთი) ხუთ მანეთად, მაშინ როდესაც სხვა აქაური ვაჭრები, როგორც ამბობენ, ექვს მანეთს იძლევიან საპალნეშიო... სად გაგონილა, რომ ამისთანა საქმე ჩუმად და დამალვით გათავებულიყოს. უნდა გაყიდვა მოხდეს საჯარო ვაჭრობით, უნდა გამოცხადდეს გაზეთებში, უნდა ვაჭრობის დღე დანიშნულ იქმნას და სხვა.

მეორე, ვიცით ჩვენის სოფლების ვითარება და ამიტომ გვეშინიან, ვაი თუ ეს ხუთი ათასი მანეთი ისე არ იქმნას მოხმარებული, როგორც სასურველია და წინად განსაზღვრული. ეს ხუთასი თუმანი ნამდვილ, აუცილებელ საზოგადო საჭიროებას უნდა მოხმარდეს ჯეროვნად და კეთილ-სინიდისიერად. ამიტომ, ჩვენის აზრით, საჭიროა ზედამხედველობა და მეთვალყურეობა გაუწიოს სოფელს არა თუ მაზრისა, არამედ გუბერნიის ადმინისტრაციამაც.

გავიხსენოთ საგულისხმიერო წერილები ბ-ნ მაჩხანელისა. მეორეს მხრით წარმოვიდგინოთ, რა იქნება ხუთი ათასი მანეთი ნაღდი ფული სამას კომლიან სოფლისათვის. კეთილ მოთავეთა შემწეობით აბა რომელი კარგი საქმე არ გაკეთდება ამდენის ფულით. სხვა არა იყოს რა, ამ სოფელს ეხლა არა აქვს სკოლა და არც ახლო-მახლო მოიძებნება სადმე ასეთი სასარგებლო დაწესებულება. აბა, ეს ფული ერთ ხუთ-ექვს წელს ბანკში შეინახონ, თუ იმის სარგებლით ნივთიერად სამუდამოდ უზრუნველ-ყოფილი სკოლა არ დაიარსონ. თუ მარტო სოფლის ნებაზედ იქნება დამყარებული ეს საქმე, თუ საზოგადო სარგებლობისათვის გულშემატკივარი განათლებულთა დასი არ ჩაერია და არ დაეხმარა სოფელს, ვშიშობთ, ეს ხუთასი თუმანი ისე არ მიიფლანგ-მოიფლანგოს, რომ ხუთიოდე წლის შემდეგ მისი ნაყოფი არა სჩანდეს-რა. ღმერთმა ჰქნას, რომ ეს ჩვენი წინასწარმეტყველება არ აღ რულებულიყოს.

იმედია, რომ ამ გარემოებას რუსული გაზეთებიც მიაქცევენ თავისს ყურადღებას.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობამ 5 ივნისს 50,300 მანათი გადასდო ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ განკარგულებას ტფილისის მცხოვრებნი დიდის სიხარულითა და მადლობით მიეგებნენ. უნდა ვაღიაროთ, რომ ქალაქის თვით-მმართველობამ ეს ფული რიგიანად გამოიყენა და დიდი შემწეობა აღმოუჩინა ქალაქს ხოლერის დროს. ყოველი საშუალება იქმნა მიღებული ხოლერის წინააღმდეგ და ამის გამო ამ სენმა ქალაქს ბევრი ვერაფერი დააკლო. ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად გადადებული 50,300 მანათი გამოილია და ქალაქის თვით-მმართველობამ ამავე საქმისთვის 15 სექტემბერს გადასდო კიდევ 14,433 მანათი, რაიცა წინანდელ ფულთან ერთად შეადგენს 64,733 მანეთს.

ამ ჟამად ხოლერა მოისპო, ტფილისის მცხოვრებთ თავისუფლად ამოისუნთქეს, მაგრამ ქალაქს-კი ვალი დაედო. ქალაქის კასას 200,000მ. ვალი აქვს, რომელიც როგორმე უნდა გაისტუმროს. მაგრამ როგორ მოახერხოს ეს ქალაქმა? ამ საქმის შესახებ გაზეთი „Кавказъ“-ი სწერს სხვათა შორის:

> ქალაქის გამგეობა ორ დასად გაიყო. უმეტესობის აზრით საჭიროა ქალაქის მმართველობამ ერთბაშად გაისტუმროს ქალაქის კასსის ვალი და სთხოვოს საბჭოს ამ ვალის გასასტუმრებლად სახლების დაფასებას 1/8% მოვუმატოთ შვიდის წლის ვადითაო, ამ სახით ყოველ წლივ ქალაქის კასას 44,258 მანათი მოემატება და 7 წლის შემდეგ ქალაქის კასსის ვალი გასტუმრებული იქნებაო. გამგეობის ზოგი წევრი კი იმას ამბობს, რომ სახლების დაფასე-

ბის მომატება 7 წლის ვადით უსამართლობა იქნება და სახლის პატრონთ მძიმე ტვირთად დააწვებათ. საკმარისიაო, ამბობენ ესენი, რომ დაფასებას მხოლოდ ერთის წლით მოემატოს $^1/_4$%, რათა ამით დაბრუნებულ იქმნას ის 64,733 მანეთი, რომელიც ხოლერის წინაამდეგს ბრძოლაში დაიხარჯაო. გამგეობის წევრთა ამ ორისავე წინადადების ასრულება ტფილისის მცხოვრებთა შორის დიდს უკმაყოფილებას გამოიწვევსო, ამბობს აგივე გაზეთი, რადგანაც უამისოდაც სახლის პატრონებმა ბევრი იზარალეს ხოლერის გამო. ამას გარდა ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ჯერ ეხლაც-კი, როცა სახლების დაფასება მცირეა, ქალაქის მმართველობას ძლიერ უჭირდება ამ ფულის სრულად აკრება და ყოველ წლივ სულ გროვდება „ნედოიმკები“ და თუ ამ დაფასებას კიდევ მოუმატეს, მაშინ ხომ ამ ფულის აკრება უფრო გაძნელდებაო.

ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ზემოთ მოყვანილს საბუთიანს მოსაზრებას და ამიტომ თანავუგრძნობთ გარდაწყვეტილებას ტფილისის საბჭოს კრებისას, რომელმაც, როგორც მკითხველნი ამოიკითხენ ჩვენის გაზეთის დღევანდელს ნომერში დაბეჭდილ ანგარიშიდგან, ორშაბათს, 27 ოქტომბერს დაადგინა: შეწყნარებულ არ იქმნას გამგეობის მოხსენება უძრავ მამულების დაფასების ხარჯის მომატების შესახებ.

## უცხოეთი

**გერმანია.** მთავრობის ცდამ, რომ ახალი სამხედრო პროექტი დრომდის არ გამოქვეყნებულიყო, ტყუილად ჩაიარა. ეს პროექტი როგორღაც ხელთ იგდო ერთმა გაზეთმა, დაბეჭდა და ახლა მთელი გერმანია და ევროპაც ამაზედ-ღა ლაპარაკობს. გერმანია—იმიტომ რომ ახალი ხარჯი და გარდასახადი ემატება ჯარის მომატებულ რიცხვის შესანახად და ევროპა იმიტომ-რომ გაძლიერებულ გერმანიას ძლიერადვე მომზადებული ევროპა თუ შეიმაგრებს, თორემ დღესვე დაეცემოდა ან საფრანგეთს და ან რუსეთს და მთელს ევროპაში სისხლის ღვრას ასტეხდა. ახალის პროექტის ძალით, გერმანიის ჯარს ემატება 86,500 ჯარის-კაცი. ამ რიცხვს ერთი 15 ათასიც აფიცერი, უნტერ-აფიცერი, ექიმი და სხ. მოუნდება, ისე რომ სულ 100 ათასი კაცი რომ ვიანგარიშოთ, ნაკლები იქნება ნამდვილზედ და არა მეტი. ამ პროექტის ასასრულებლად დაიხარჯება ერთხანად დაახლოვებით 22 მილიონი მანეთი და შემდეგ ყოველ წლივ სამხედრო ხარჯს მიემატება 21 მილიონი. ეს ხარჯი უნდა დააწვეს კისრად ხალხს, უამისოდაც შეწუხებულს სხვა-და-სხვა გარდასახადით და, რასაკვირველია, ჟურნალ-გაზეთები და თვით პარლამენტის წევრთა უმეტესი ნაწილი წინაალმდეგი იქნება ამ პროექტისა. ჟურნალ-გაზეთებს და საზოგადო აზრს გერმანიის ხელმწიფე ყურადღებას არ მიაქცევს, საქმე პარლამენტი იქნება. თუ პარლამენტმა ეს პროექტი არ მიიღო, შესაძლოა დათხოვნილ იქმნას და ვილჰელმ მეორემ ახალს პარლამენტს წარუდგინოს დასამტკიცებლად.

**საფრანგეთი.** საფრანგეთიც შეწუხებულია ამ პროექტით. თუ-კი გერმანია ასე თავით-ფეხამდე იარაღში იჯდა და ტყავს იძრობს, რომ რაც შეიძლება მეტი და საუკეთესო ჯარი ჰყავდეს, ჩვენც, რადგან ეს მზადება მხოლოდ ჩვენ წინაალმდეგ არის, ჩვენც უნდა მზად დავხვდეთო. საფრანგეთმა დიდი ხანია სთქვა და დევიზად დაიდო: ბრძოლა სისხლით და ცეცხლით-კი არა, ბრძოლა განათლებით, მეცნიერებით. სამწუხაროც ის არის, რომ დაუდეგარის მეზობლის გამო, იმანაც უნდა უმტყუნოს თავისს დევიზს, თავის წადილს და თავისი ძალა და ნივთიერი შეძლება ჯარსა და მელინიტ-დინამიტზედ დაჰხარჯოს. ჩვენი წადილიო, ამბობს ერთი ფრანგული გაზეთი, მხოლოდ ჩვენის ქვეყნის განვითარებაა გონებით, ზნეობით და მრეწველობით, და მაინც, თუ სიცოცხლე გვინდა, ზურგი უნდა ავუქციოთ ამ წმინდა სურვილს და მისთვის დანიშნული ფული შეიარაღებას მოვანდომოთ. თვით გერმანიაც კარგადა ჰგრძნობს, რომ სახელმწიფოთა ერთმანეთის გაჯიბრება—აბა, ვინ უფრო ძალიან იქმნება შეიარაღებული, რომელი უფრო მეტს დაჰხარჯავს თავის ჯარზედაო—სანუგეშოს არას მოასწავებს: ამისთანა ქცევით მთავრობა სრულიად ივიწყებს, რომ ხალხის განათლებისათვის უნდა იხარჯებოდეს რაც შეიძლება მეტი და არა ჯარისათვის. გერმანიასაც კარგად ესმის, რომ ეს გაჯიბრება და ხალხის საჭიროებათა სრული დავიწყება გერმანიას სრულს გაღატაკებამდის მიიყვანს და უფრო ადრე თვით გერმანიას, ვიდრე საფრანგეთს. ერთს გერმანულს გაზეთში ეს აზრი კარრიკატურად არის დახატული: მთის კენწეროზედ ნანგრევ-ნაოხრებია და იქითკენ მისწრაფიან გამალებით ევროპის ერნი და ყველაზედ წინ გერმანია წასულა, ხოლო ყველაზედ უკან საფრანგეთია დარჩენილი.

### წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ მცირე ადგილი დაუთმოთ შემდეგს: ქვემო-მაჩხაანის სანიმუშო სახალხო დეპოს თანხისათვის გამოიღო ევდოქსია მიხეილის ასულმა თუქუშაშვილისამ ოცი თუმანი და თითო თუმანიც შემდეგთ: მარიამ გაბრიელის ასულმა თუქუშაშვილისამ, ვ. მჭედლიშვილმა და ა. ხელაშვილმა—სულ შეზდგა 230 მ.

დეპოს აგენტი ვაქირის მღვდელი იოსებ თუქუშაშვილი

ოქტომბრის 17 დღესა 1892 წელს.

## დეპეშა

26 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** რიაჟსკს დააპატიმრეს ციმბირიდგან გამოქცეული ცნობილი ავაზაკი, კორნეტი სავინი.

გაზეთები იუწყებიან, რომ გზათა სამინისტროს უკვე შეუდგენია პროექტი ამიერ-კავკასიის რკინის გზას შეუერთოს ახალი შტო, რომელიც ქ. შუშამდე იქმნება გამართული.

სახელმწიფო რკინის გზათა მმართველობის თავმჯდომარე გუშინ ხარკოვს გაემგზავრა, რათა საშუალება რამ იხმაროს პურის ვაჭრობის გასაძლიერებლად.

27 ოქტომბერი

**ბუდა პეშტი.** საეროვნო დასისაგან თხოულობენ ყველა დასნი, უფრო მტკიცედა და გადაჭრით იმოქმედე მხედრობის საქმეთა გამოვო.

**პრაგა.** სტარო-ჩეხების კლუბში რიგერმა ილაპარაკა ჩეხთა დელეგატების ამას წინანდელ თათბირის შესახებ და გადაჭრით მოიხსენია ავად გრაფ ტააფეს სამინისტრო და გერმანელები.

**ბერლინი.** რადგან ჰამბურგში ხოლერა მოისპო, ამიტომ ყოველი ხოლერის წინაალმდეგი ღონისძიება მოსპობილ იქმნა ჰამბურგის არემარეში.

პეტერბურგის ბირჟა, 23 ოქტომ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8,12 | 8,15 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $162^1/_4$ | 163 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 236 |
| —მეორისა . . . . | $215^3/_4$ | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | $190^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

## განცხადებანი

კბილის ექიმი
**ა. ი. ორბელი**
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
**კვირა-უქმე დღეებში**
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—129)

გამოცდილი რეპეტიტორი
**ამზადებს**
პირველ დაწყებით სასწავლებლისა და პროგიმნაზიის ყველა კლასის შეგირდებს
დილის 8—10 საათამდე და ნაშუადღევის 3—8 საათამდე.
ადრესი: „ივერიის“ რედაქციაში.

**ხ ო ლ ე რ ა**
მესტვირული შაირები
აკაკისა
ისყიდება შაურად
ტფილისსა, ქუთაისს და სხვაგანაც, ყველგან, სადაც, ან ვისთანაც ქართული წიგნები იშოვება სასყიდლად. (5—5)

**საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან**
აუწყებს ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა და სხ. პატრონთ, რომ, საზოგადოების წესდების § 30 ძალით, ამ საზოგადოებასთან არსდება ცალკე განყოფილება საკუთრად ვენახებისა, ბაღებისა და სხ. დაზღვევისათვის სეტყვისაგან. ამ განყოფილების მოქმედება დაიწყება მხოლოდ მაშინ, როცა მსურველნი დაზღვევისა იქმნებიან იმდენი, რომ მათის დასაზღვევის მამულების საზღაური 500,000 მან. იქნება.
სურვილი თვისი უნდა გამოუცხადონ საზოგადოების საგენტოს დილის 9—12 საათამდე, ხოლო მერმისს პირველ იანვრიდგან დილის 9—3 საათამდე. (აბას-აბათის მოედანი, მელიქ-ნუბაროვის აფთიაქის გვერდზედ, საკუთარი სახლი). იქვე შეიძლება მიიღოს მსურველმა შემდეგი წიგნები:
Страхованіе отъ градобитія.
Краткій очеркъ развитія этой отрасли обезпеченія въ Германіи и Россіи.
Сборникъ свѣдѣній для опредѣленія убытковъ, причиняемыхъ культурнымъ растеніямъ градобитіями и др. атмосферическими вліяніями, а также насѣкомыми и болѣзнями.
Составилъ В. А. Таргонскій
საგენტოს გამგე დ. ქ. თუთაევი.

1893 წლის 1 იანვრიდგან არსდება ტფილისში
**„უნივერსალი საგენტო“**
დ. ქ. თუთაევისა
აბას-აბათის მოედანზედ, მელიქ-ნუბაროვის აფთიაქის გვერდზედ, დილის 9—3 საათამდე.
საქმე საგენტოსი:
I რიგისა
დაზღვევა სიცოცხლისა ყოველ იმ წესით, რა წესითაც-კი შესაძლოა.
დაზღვევა ცეცხლისაგან უძრავისა და მოძრავის ქონებისა.
დაზღვევა ჭირნახულისა და ვენახებისა სეტყვისაგან.
გასყიდვა 5-%-იან მომგების ბილეთებისა I და II სესხისა და სახელმწიფო სათავად-აზნაურო მომგებიან გირავნობის ფურცელთა ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდით და ხელ-მოსაცემ პირობით.
დაზღვევა მომგებიან ბილეთებისა გაბათილებისაგან უზრუნველ-ყოფისათვის, თითო ბილეთისა 60 კაპეიკად.
II რიგისა
შედგენა ხარჯთ-აღრიცხვათა და გეგმებისა შენობათა ასაგებად. (საგენტოს ჰყავს საკუთარი ხუროთ-მოძღვარი-არხიტექტორი).
შესრულება ქალაქ გარეშე მცხოვრებთა ყველა საქმისა, რომელიც-კი შეეხება მთავრობისა და სხვა კერძო დაწესებულებათა, აგრეთვე კომერციის და სხ.
საგენტო ტვირთულობს სოფლისა და ქალაქის მამულების დაგირავებას ტფილისის სათავად-აზნაურო და სახელმწიფო ბანკში და აგრეთვე საკრედიტო საზოგადოებაში.

რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი
(ძირის ფული **1.000,000** მან.)
პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, 27
ისყიდება 5%-იანი მომგებიანი ბილეთები I და II სესხისა და გირავნობის ფურცელნი სახელმწ. სადგილ-მამულო ბანკისა ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდით.
ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი 10% იმისი, რაც ბილეთი ჰღირს ბირჟაზედ (არა ნაკლებ 15 მან.). ყოველ თთვე-და-თთვე უნდა გადახდილ იქმნას იმდენი, რამდენსაც თვით მყიდველი ისურვებს (არა ნაკლებ 5 მან.)
კუპონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.
დაზღვევა ბილეთისა გაბათილებისაგან ჰღირს 60 კაპ.
(20—8) აგენტი დ. ქ. თუთაევი

კერძო ექიმი
**პრეობრაჟენსკი**
არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნეკრესის სნეულებას, ნეკრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.
ამას გარდა, სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილის ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.
ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩის კუთხე, სახლი პაპოვისა, № $^9/_2$, ვარანცოვის ძეგლიდამ მეოთხე სახლი.
(10—2)

რუსეთის საზოგადოება ცეცხლისაგან დაზღვევისა
კანტორა უმთავრესის საგენტოსი კავკასიისათვის არის ტფილისში, განოვის ქუჩაზედ, ნოტარიუს მამიკონოვის კანტორის გვერდზედ, ყაზაროვის სახლში.
(30—11) ინსპექტორი საზოგადოებისა ვ. ფ. ტარანოვი.

Дозв. ценз. Тифлисъ, 27-го Октября 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.